პრესრელიზი

13 დეკემბერს, 15:00 საათზე, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში ჩატარდება ცნობილი ქართველი მეცნიერის ელენე მეტრეველისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სემინარი.

მოხსენებას წაიკითხავს თამარ ოთხმეზური, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოდიკოლოგიისა და ტექსტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, თემაზე - „კნინოდენითა გემოჲსხილვითა გიჩუენოთ გემოჲ მდინარისა დიდისა“: ანტიოქიის რეგიონის ქართული მწიგნობრული პროცესების რეკონსტრუქციისათვის.
მოხსენებაში შედარებულია XI საუკუნის ორი ქართველი მწიგნობრის, გიორგი მთაწმინდელისა და ეფრემ მცირეს, მოღვაწეობის პერიოდში გადაწერილი ხელნაწერები. რა თავისებურებებით გამოირჩევა და რა სხვაობაა ამ ხელნაწერებს შორის? როგორ ვითარდებოდა ქართული ხელნაწერები და ყალიბდებოდა ახალი ტიპის ქართველი მკითხველი?
მოხსენება ეძღვნება ცნობილი ქართველი მეცნიერის, ელენე მეტრეველის ხსოვნას.
ელენე მეტრეველი გახლდათ ძველი ქართული მწერლობის ისტორიის მკვლევარი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, თიუბინგენის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, 1968–1988 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ.კეკელიძის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი. ელენე მეტრეველი წლების განმავლობაში იკვლევდა სამწიგნობრო კერების ისტორიას, რასაც შედეგად მოჰყვა მრავალი სამეცნიერო სტატია და ფუნდამენტური ნაშრომები: „მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტროიისათვის“, „ნარკვევები ათონის კულტურულ–საგანამანთლებლო კერის ისტორიიდან“ და „ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი“.დიდი ღვაწლი მიუძღვის მას ხელნაწერთა აღწერილობების გამოცემაში. ელენე მეტრეველის ნაშრომები იბეჭდებოდა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოს ცნობილ სამეცნიერო ცენტრებშიც.
ელენე მეტრეველის არქივი ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

#

საკონტაქტო ინფორმაცია

მარიამ ჯაგიძე, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

Tel: 577 977 199

E-mail: pr@manuscript.ac.ge

Web: www.manuscript.ge